საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

შაბათი, 31 ოკტომბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თეიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ თანდათანობით. განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 211 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 211

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობიდო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ბესარიონ ვასილის ძე გვახარია, შვილები: ნინო ოკუჯავასი, თამარი, ნიკოლოზი და გიორგი ბესარიონის ასული და ძენი გვახარიები, სიძე ნიკოლოზ სტეფანეს ძე ოკუჯავა, მაზლები: დავითი და პავლე ვასილის ძენი გვახარიები მეუღლეებითა და შვილებით, ძმა ალექსანდრე სპირიდონის ძე გაბუნია და და ადალო გეგეჭკორისა, ძმის შვილი იოსებ დიმიტრის ძე გაბუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გადაცვალებას

ზესნა (იგივე ესმას) სპირიდონ გაბუნიას ასულის

გვახარიასი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრისა გოშპიტლის ქუჩაზე საკუთარ სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 4—3—5013

კონსტანტინე იოსების ძე და მინადორა სიმონის ასული რიჟამაძეები, შვილები: ლენა, მარო, ოლგა, კოლია შალიკო და გრიშა, ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, პირველ ნოემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩვენი შვილის, თათრებთან ომში დაღუპულ პარუჩიკის

იოსიკას (იოსების)

სულის მოსახსენებლათ.

1915 წ. ოკტომბერი 31 შაბათი

ანონსი:
მზადდება
ვ. გუნიას „და ძმა“, მეიერის „მემკვიდრე პრინცი“, რამიშვილის „სალომეს ოჯახი“.

იავ ფასიანი წარმოდგენა № 5.
„ქართული დრამა“. № 15
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

ციმბირელი.

3 მოქმ.
ავტორი: ა. ცაგარელი.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 1—1

1915 წ. ნოემბერი 1. კვირა

ანონსი:
მზადდება:
რამიშვილის „სალომეს ოჯახი“
ვ. გუნიას „და—ძმა“ მეიერის „მემკვიდრე პრინცი“.

„ქართული დრამა“ № 16
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოსადგენათ საღამოს 8 საათზე
ცნობილი ისტორიული პიესა

ღალატი.

5. მოქ.
ავტორი ა. სუმბათაშვილი—მთარგმნელი გ. ყიფშიძე.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ.-სა.
2—1

კვირას, 1 ნოემბერს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში,

დილის ათ საათზე, დანიშნულია ქუთ. მომხმარებელი საზოგადოების

„კოოპერაციის“ გამგეობის

და საუბნო კომისიის წევრების შეერთებული კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას, ვინაიდან ეს კრება უკანასკნელია მომავალ საზოგადო კრებამდის. უფ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 29 ოკტომბერს, შაბათს, 31 ოკტომბერს და კვირას, 1 ნოემბერს მხოლოდ სამი დღით ახალი საუცხოვო პროგრამა.

მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.

13—14 სერია 4 ნაწილ.

ეჭვიანობა.

ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: პარასკევს, 30 ოკტომბერს, საქველმოქმედო სეანსები ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის ლარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

მზადდება ორშაბათისთვის სახვენებლათ მოცეკვავე შავი ტავერნისა. დრამა 6 ნ.

განცხადება.

შავი ზღვის ნაპირა რკინის გზისათვის გასაკეთებლათ საჭიროა ქვემო დასახელებული რაოდენობა ფურაჟისა და სურსათისა.

თივა შეკრული ახალი მოთიბული 35000 ფუთი; ბზე შეკრული ბრეზის საშუალებით, ან ისე 12000 ფ.; ბურის ჩალა 15000 ფ.; ბურის ფქვილი მე-5 და მე-7 სარისხისა თანაბრათ სულ 12000 ფ.; კაპუსტის მწვანილი 100 ფ.; კარტოფილი 300 ფ.; მარილი—200 ფ.; ღორის ქონი სისქით, არა ნაკლები ერთი გოჯისა—500 ფ.; მზეუმზირას ზეთი —200 ფუთი (ბოჩკებში 15 ფ.); ბრინჯი გრეჩნ.—1500 ფ.; ბურის —2500 და ფქვილი 100 ფ.

აღნიშნული საგნები უნდა მოიტანოს მოიჯარადრემ ვადაზე თანაბრათ:

12 დეკემბრისათვის მდგომარე წლისა და თებერვლის, აპრილისა და ივნისის 1 რიცხვისთვის 1916 წლისა.

რკინის გზის სამმართველო იტოვებს უფლებას გაადიდოს ან შეამციროს აღნიშნული რაოდენობა 25 ბროცენტით.

იმ ბირებს, ვინც მოინდომებს აღნიშნულ სურსათისა და ფურაჟის მიწოდას მთლიანათ, ან ნაწილათ რომელიმე საგნისა, რკინის გზის საამშენებლო საამმართველო სთხოვს შეიტანონ განცხადება (უკანასკნელი ფასის აღნიშვნით თითოეულ ფუთზე წმინდა წონის ფრანკო ვაგონის სადგურიდან, საიდანაც გაიგზავნება, ან რა ელირება ახალ სენაკის სადგურამდი) სოჩაში, შაუი ზღვის ნაპირა გუბერ. სამეურნეო ნაწილის უფროსის სახელზე არა უგვიანეს 15 ნოემბრისა მდგომარე წლისა.

განცხადებები გამოგზავნილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებით (თუ შეიძლება ლუქის ბეჭდით) კონვერტებზე უნდა იეოს წარწერა: „განცხადება ფურაჟისა და სურსათის მიწოდის შესახებ“.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ლუქის ბეჭდით ნიმუში (ორ ორი ეკზემპლიარი) ბერიის თქვილის, ბრინჯისა და ბურისა ჩაბარება და უკანასკნელი მიღება მოხდება ფურაჟისა და სანოვაგისა ახალ სენაკის რკინის გზის სადგურზე.

ბირობის შესაკვრელი საგერბო ხარჯები უნდა იეოს მოიჯარადრისა.

ყველა ხარჯი სანოვაგის შესახვევი, შესაკვრელი და ჭურჭლებისა მოიჯარადრისაა, ხოლო ტომრებსა და ბოჩკებს საამართველო შეისყიდის მორიგებით

ახალ-სენაკის მატერიალური საწყობის გაგზ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—ბალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

უმღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 29 ოკტომბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. დვინის მარცხენა ნაპირზე, იკსკიულის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მძიმე არტილერიის დახმარებით დაიკავეს ბერზემიუნდე, რომლის დროსაც წამოიყვანეს რამდენიმე ათეული ტყვე გერმანელებისა და ორი ტყვიის მფრქვეველი. მტრისგან მოტანილი ორი კონტრ-იერიში მისთვის დიდი ზარალით ჩვენ მიერ მოგერებულ იქნა. დ. კოსტიუხნოვკის ახლოს, რაფალოვკის დასავლეთით სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დამატებითი ცნობებით დ. კოლკის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში მომხდარ ბრძოლის დროს, წამოყვანილ ტყვეებს გარდა, (2000 ჯარისკაცი, 50 აფიცრით და 20 ტყვიის მფრქვეველით) კიდევ წამოვიყვანეთ 1500 მეტი ჯარის კაცი, 21 აფიცრით და 16 ტყვიის მფრქვეველით.

დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ფრონტი.

ტორტუმის ტბის რაიონში ქ. კალადჯის ფრონტზე, სოფ. ახასთან და აგრეთვე სამხრეთით ხოროსანის რაიონიდან ქ. ხალიას დაგთან და ს. ჯოროვთან და კიდევ ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე მოწინავე რაზმთა შორის შეტაკებაა.

დეპეშები.

(ბეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ფრონტი

პარიზი. 28 ოკტომბერი. საღამოს ოფიც. ცნობა. ბელგიაში ჩვენი არტილერია სისტემატიურათ უშენდა ყუმბარებს გერმანელების საველე სიმაგრეებს დიუნის რაიონში, ბეზეიგის სეკტორში, შამპანში, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, დილით მტერმა ორჯერ მოიტანა თავგანწირული იერიში ჩვენს პოზიციებზე ტაგიურის თის ფერდოებზე. პირველი იერიში შეჩერებულ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით და ამასთანავე გერმანელებმა ვერ შესძლეს ჩვენს თხრილებთან მოახლოვება. მეორე იერიშის დროს გერმანელებმა ერთ პუნკტზე შესძლეს ჩვენს თხრილებში შემოჭრა, მაგრამ კონტრიერიშით საჩქაროთ განდევნილ იქნენ.

მაასსა და მოზელს შუა მდებარე სივრცეზე ჩვენი ბატარეია ენერგიულათ უპასუხებდა მტრის არტილერიის ცეცხლს. სენმორინის გზატკეცილზე მომავალი მტერი ჩვენმა ქვეითა ჯარმა გაფანტა.

ჰავრი. 28 ოკტომბერი. ბელგიის ცნობა. ღამემ წყნარად გაიარა. მტრის არტილერია მხოლოდ მცირე მოქმედებას იჩენდა.

ლონდონი. 28 ოკტომბერი. ფრენჩი იტყობინება, რომ 25 ოკტ. ჩვენმა ჰაეროპლანმა გერმანელების ბარაკებს ყუმბარები დაუშინა. როგორც სჩანს, იმავე დღეს საჩქაროთ გერმანელების ჰაეროპლანი, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, 7000 ფუტის სიმაღლიდან ძირს დაეცა. ჩვენ დავკარგეთ ამ ბრძოლაში ერთი ჰაეროპლანი დუეს ახლოს. საზოგადოთ მთელ ფრონტზე, მტერი ნაკლებათ მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედობდა, ვიდრე ჩვეულებრივათ,

პარიზი. 28 ოკტ. იტყობინებიან, რომ მტერი გადავიდა დასავლეთ სავაზე კრალიევოს ახლოს და სამხრეთ მორავიზე ჯუნისის მიმართულებით. ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიშები გრედალისა და მთის უდელტეხილებს შუა კორნიკოთან.

რომი. 29 ოქტ. ჯიუდიკარიის სეკტორში მტრის არტილერიამ გაჩაღა ძლიერი ცეცხლი ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ მონტელავანეკ-მოლტემენინოჩიმავა-ლომის მიდამოებში, მაგრამ ჩვენი არტილერიის მხრიდან მოხერხებულათ და მკვირცხლათ შეხვედრილმა ცეცხლმა მობირდაპირე ჩაახუმა. კონდევალეოს ზემო ნაწილში ჩვენი ჯარის შეტევა გძელდება სამთა სიმაგრეების წინააღმდეგ სიენ-სეტას შუა. ამ შეტევის დროს ზოგიერთი ადგილი ჩვენ დავიკავეთ. მტრის იერიში იზონცოს ფრონტის გასწვრივ მოგერეგულ იქნა. ჩვენმა ჯარმა რამდენიმე მამაცური იერიში მიიტანა მტრის სიმაგრეებზე ფლავის სეკტორში. არტილერიის მოქმედება გძელდება. ჩვენმა ჰაეროპლანებმა გუშინ სანდანელე-ნაბრეზინის სადგურებს ყუმბარები ესროლა და აგრეთვე კარსოს მთის რამდენიმე სიმაგრეს.

ომის დღიური.

ადმოსავლეთის ასპარეზით თვალსაჩინო არა მომხდარა რა. რიგის რაიონში, დასავლეთით რუსის ჯარმა კ მერენს მიაღწია და აქ გაძაგრდა. აქვე დაუბრუნებია ს. ოდინგი. იაკობშტატის და დვინსკის რაიონებში ბრძოლა ცოტათი დაცხრა. შესაძლებელია, რომ მდ. დვინის ხაზის დაპყრობისათვის გერმანელებმა ახალ ზომას მიმართონ. ცნობები იყო, რომ გინდენბურგი ვილნოში მოვიდა, და აქ ჯარის უფროსებს რაღაც ბჭობა ჰქონიათ. გაზეთების აზრით, მოსალოდნელია, რომ გერმანელები ვილნოს მიმართულებით დაიწყებენ ახალ ფართო შეტევას.

მაოთლადაც იმდენად გაჭიანურდა მდ. დვინის ნაპირეთით საქმე, ოომ გერმანელები იძულებული იქნეიან ახალი ოპერაციით საქმე გაიადვილონ. ვილნოს მიმართულებით მოქმედება კვლავ ვილეიკა-ძოლოდეჩნოს რაიონის წინააღმდეგ, მართლადაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რუსის ჯარის ყურადღებას ეიქცევს და ეიძლება გავლენა იქონიოს მდ. დვინსკის ხაზით მოქმედებაზე. ამის წინათ გერმანელების ჯარი ამ მიმართულებით შორს შეიჭრა და თითქმის მდ. ბერეზინას სათავეს მიადგა. მაგრამ მაშინ მხოლოდ ცხენოსანი ჯარი მოქმედებდა და ვერ შესძლო დაპყრობილი ადგილების შერჩენა და დაცვა და იძულებული გახდა დაეტოვებინა. ამ შემოსევას მაშინ წმინდად დემონსტრატიული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მდგომარეობა მეტად გართულდა და რუსის ჯარის დიდი ნაწილი გამოიტყუა აქეთ და ამ გარემოებამ საშუალება მისცა გერმანელების ჯარის ცენტრს და მარცხენა წვერს შორს წინ წამოეწია. სწორედ აღნიშნულ ცხენოსან ჯარის შორის შეჭრამ შეაძლებინა გერმანელებს ბარანოვიჩის კვანძის ხელში ჩაგდება და მდ. დვინისაკენ წინ წაწევა. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ვილნო-მინსკის მიმართულება მოსკოვისაკენ მიმავალ მთავარ საკვებ გზებსა სჭრის და, მაშასადამე, თავის-თავადაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით, ადვილი შესაძლებელია, რომ ეხლანდელ პირობებში გერმანელები სწორედ იმ მიმართულებას აირჩევენ და აქედან დაიწყებენ ფართო შეტევას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს შეტევა საერთო შეტევას, მთელის ბრძოლის პირით, მოასწავებდეს. ძნელი საფიქრებელია, რომ გერმანელებმა ზამთრის მოლოდინში აღმოსავლეთის ასპარეზით ფართო შეტევა დაიწყონ და ამიტომ თუ მართლა მოქმედება ვილნო-მინსკის მიმართულებით განაცხოველეს ეს მხოლოდ დახმარება იქნება მდ. დვინის საწინააღმდეგო ოპერაციისათვის.

მეორე რაიონი, რომელსაც ამ ჟამად აგრედვე დიდი მნიშვნელობა აქვს არის კოლკი-ჩარტორიისკის ხაზი, აქ კვლავ მკაცრი ბრძოლაა. პატარა-პატარა სოფლები გუტა-ლისოვსკაია, ბუდკა, მედვედკა, მამაროვო, ეი ის სოფლები, სადაც რამდენი ხანია შეტაკებანი ხდება. გუშინდელ დეპეშის ცნობით ავსტრიელებს იერიში მოეაქვთ გუტა-ლისოვსკაიას მხრით, სამაგიეროდ რუსის ჯარს ს. ბუდკა აუღია და მის მახლობლად მდებარე ტუ. ამ ორ სოფელს შუა მხოლოდ 4—5 ვერსის მანძილია და მაშასადამე ამ ბრძოლას წმინდად ადგილობრივი ხასიათი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ კი აქ მოქმედება გაფართოვდა შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს. ორივე მოპირდაპირე დიდხანია ცდილობს აქ უპირატესობა მიიღოს, რადგანაც ეს რაიონი ერთის მხრით სარნის საფარია და მეორეს მხრით აქედან წამოსული ჯარი როვნოს რაიონს ჩრდილოეთით უვლის. იგივე რაიონი საჭიროა რუსის ჯარისათვის, რადგანაც აქედან ფართო შეტევის წარმოება შეიძლება კოველისაკენ.

სერბიის ჯარის მდგომარეობამ თანდათან უკიდურესობამდე მიაღწია. როგორც "ნოვოე ვრემია" იუწყება, სერბიის ჯარი გარს შემორტყმულია და დიდს გაჭირვებას განიცდის, მაგრამ სერბიის ჯარი მაინც მედგრად იბრძვის და სერბია ქედს არ იხრის. „ს. ფ".

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

კაშიჩის აზრი.

„ტეიმს" მოყავს კაშიჩის დეპეშის ტექსტი, მიმართული ინგლისის საზოგადოებისადმი.

——

„სერბია"—დეპეშათ იტყობინება სერბიის პრემიერ მინისტრი, ყოველგვარ ზეკაცურ ძალას ხმარობს თავის არსებობის დასაცავათ თანახმათ თავის დიდებული მოკავშირეების რჩევისა და სურვილებისამებრ. ამის გამო ავსტრიელებმა, გერმანელებმა, ბულგარელებმა ჩვენი მიწასთან გასწორება მოინდომეს და ამოოლეტით გვემუქრიან. 20 წელზე მეტია, რაც ჩვენი მტრები ჩვენს განადგურებას სცდილობენ მიუხედავათ ჩვენი ჯარის მამაცური სულისა და თავგანწირული გმირობისა, მათს არ ძალუძთ განაგრძონ გმირობა უსაზღვრო დროშდი. ჩვენ ვსთხოვთ ჩვენს ბრავალრიცხოვან ინგლისელ მეგობრებს მიიღონ ყოველ გვარი ზომა და დროით მოგვაშველონ ჯარი დასახმარებლათ, მით უფრო, რომ ყველა ჩვენ ვიბრძვით ერთი საერთო მიზნის განსახორციელებლათ.

——

საბერძნეთის აქტიური ბამოსვლა.

„ბერლინერ ტიდენდეს" პარიზელი კორესპონდენტი, დიპლომატიურ წყაროებიდან გაგებულ ცნობით, იტყობინება რომ ბაიმსის კაბინეტის გადადგომამ პარიზის ხელმძღვანელ წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. ფიქრობენ, რომ საბერძნეთის სამინისტროს კრიზისი უთუოდ დაიჩქარებს საბერძნეთის პოზიციის გამორკვევას

——

პარიზის წრეები შემდეგ ნაირათ აფასებენ საბერძნეთის მდგომარეობას:

——

მეფეს, არსებითად, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, თუმცა ძლიერ საეჭვოა, რომ ვენიზელოსმა მოინდომოს ზაიმსის კაბინეტის დამარცხება, თუ მას გარანტია არ გქონდა, რომ მეფე კონსტანტინე, ამ ჟამათ მაინც ალარ შექმნის ახალ რთულ დაბრკოლებას ეროვნულ პოლიტიკისათვის, რომელსაც საბერძნეთს უკარნახებს დღევანდელი შექმნილი მდგომარეობა. პარიზში საეჭვოთ არ მიაჩნიათ, რომ საბერძნეთისთვის ამ ჟამათ ხელსაყრელი მომენტია აქტიური გამოსვლისათვის. უკეთუ სრული გარანტია ექნება იმას, რომ მოკავშირენი სერბიის ფრონტზე საკმაო ძალას გაგზავნიან მოპირდაპირესთან საბრძოლოთ. საბერძნეთის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია იმ გარემოებამაც, რომ დღეიდან საბერძნეთს შეუძლია გარკვეული იმედი იქონიოს რუსეთის მხრით სათანადო ოპერაციებზე ბულგარეთის წინააღმდეგ.

——

ოსმალები და ბერძნები.

სალონიკში გამოცემული გაზ. „ორიენიონი" მწუხარებით აღნიშნავს გერმანულ საკვირაო გაზეთში მოთავსებულ წერილის შინაარსს, რომლის ავტორიც ოსმალეთის მთავრობას ურჩევს ენერგიული ზომები მიიღოს ბერძენ მეზამულეთა და მოვაჭრეთა წინააღმდეგ ოსმალეთში, რადგანაც ბერძნები დაინტერესებული არიან ოტომანეთის სახელმწიფოს დაცემითო.

სოც.-დემოკრატების დაპატიმრება.

„ფორვარტსის" ცნობით, დიუსელდორფში, ადგილობრივ ქალაქის უფროსის განკარგულებით მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა სოციალ-დემოკრატებისა.

დაპატიმრებულნი ბრალსა სდებენ საიდუმლო კრებების გამართვაში. ჩხრეკის დროს წაიღეს პარტიული დოკუმენტები. ამ ცნობის უარსაყოფათ მიუნხენიდან სხვა გვარი ცნობა მოდის სოც. დემოკრატების შესახებ, რომ ბავარიის ლანდტაგმა გააუქმა კანონი, რომლის ძალითაც სოც.-დემოკრატებს ქალაქის საბანაო ხურში არ უშვებდენ. ლანდტაგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „რადგანაც ომის დაწყებიდან გერმანიის სოც დემოკრატიამ დიდი პატრიოტობა გამოიჩინა, ბავარიის სახალხო წარმომადგენლობა მეფის მთავრობასთან სრული შეთანხმებით, საჭიროთ სთვლის გააუქმოს ღღევანდლამდი არსებული კანონი".

იტალიის აზრი ზავზე.

რომიდან „დეილი-ტელეგრაფს", დეპეშით ატყობინებენ, რომ რომის ოფიციალურმა წრეებმა არაფერი იციან ბიულოვის მისიის შესახებ და არცა სწამთ დღევანდელ შექმნილ საერთაშორისო სამხედრო დამოკიდებულებასა და მდგომარეობაში ზავის შესახებ პირობებზე მოლაპარაკების შესაძლებლობა. რომის პოლიტიკურ წრეებში ასეთი შეხედულებაა: იტალიისათვის ომი მხოლოდ ახლა იწყება და არც დაყრის იარაღს, ვიდრე არ განახორციელებს თავის ნაციონალურ იდეალებს.

იტალიის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით, უდროვო ზავი, ვიდრე არ გაანადგურებენ გერმანეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოს, [illegible] ლებული იქნებაო".

„დეილ ტელეგრაფის" ბილანელი კორესპონდენტი, ბომონი დიდ მნიშვნელობას აძლევს ბიულოვის ლიუცერნში ყოფნას. მისი ცნობით, ოთხთა შეთანხმების მისიებს ბერნში ორი კვირის ადრე ეცნობა ბიულოვის გამგზავრება შვეიცარიაში, რამაც დაბადა ბიულოვის მისიაზე განსაკუთრებული მისიაზე აზრი.

იაპონია.

იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროების ბარონ კატოს განუცხადებია: იაპონეთის იმპერიის დღევანდელი მდგომარეობა მეტად რთულია. საჭიროა იაპონეთი მონაწილეობდეს ამ ჟამად ევროპის კომფლიქტში, მაგრამ ამისთვის საჭიროა ლაშქრის გადაყვანა ევროპაში, რისთვისაც ჩვენ არ მოკავეპოვება საჭირო საკმაო სატრანსპორტო გემები. პირველი დაბრკოლება დაიძლეოდა მოკავშირეთა მიერ, მაგრამ, მაშინ წამოდგება ფინანსიური დაბრკოლება. იაპონეთის კასის გადაყვანას ევროპაში რამდენიმე მილიარდი იენი დასჭირდება, რომლის შოვნაც არც ისე საადგილოა. ამისათანავე იაპონეთს არა ჰსურს, რომ თავისი ჯარი რომელიმე სახელმწიფოდან ღებულობდეს სანოვაგეს და ფულს. შეიძლება ითქვას, რომ იაპონია მიჰშართავს სესხს, მაგრამ საკითხავია ის, თუ რა გზით გაუწყრდება შემდეგში იგი მოვალეს. ამ რიგად ეხლანდელ ომში იაპონიის ევროპაში ბრძოლა არ ძალუძს. მაშრით დახმარებას-გამოადგება იაპონეთი თავის მოკავშირეთ იმადგება კითხვა. ყველაზე უფრო მოსახერხებელ და საჭირო დახმარებად სთვლიან მოკავშირეებისადმი საომარ ამუნიციების მიწოდებას. როგორც გადმოგვცემენ, ამ ბოლო ხანს იაპონეთსაც ზემოთ ნაჩვენები გზით განუძრახავს დახმარება, ე. ი. სამხედრო იარაღით და სხვა და სხვა საჭირო მასალით, რომელიც მოკავშირეთ აკლიათ.

——

ბალკანეთზე.

სამინისტროს კრიზისი საბერძნეთში.

ათინიდან იტყობინებიან, რომ ვენიზელოსმა სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში და ზაიმისის კაბინეტმა გაჰკიცხა იმ არა კონსტიტუციონალურ მოქმედებისათვის, რომელსაც ვენიზელოსის აზრით ეს კაბინეტი აწარმოებს. მანვე გაჰკიცხა მინისტრთა ქცევაც, და მხდალები უწოდა მათ, რადგანაც მეფეს არ აფასებენო. „საბერძნეთის უუწმინდესი მოვალეობაა სერბიას მხარი დაუჭიროს, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის და ვიდრე სერბია სულ არ განადგურებულა."

გრიშიკო მწერალი.

(მოთხრობა).

II.

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 210)

გრიშიკომ რაკი საკუთარი კანცელარია ჩაიგდო ხელში, ახლა იმას ვინღა მოუგებდა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა თავისი ხელობა არ დაუკლია, რომ საზოგადოებაში სახელი მოეხვეჭა; საწადელსაც მალე მოაღწია. გრიშიკო აწერილის სახელი მოედო დაბა-სოფლებს სარჩევად, ქალალდის დასაწერად; როდესაც ჯარის კაცების გაწვევის დრო დადგებოდა ხოლმე, მაშინ ხომ მის კარზე ტალახი იყო ამდგარი, ხან ერთი ელრიჯებოდა, ხან მეორე, გვიშველე რამე ღვთის გულისათვისო, დაგვიხსენი სალდათობიდან და რაც გინდა წაიღეო. გრიშიკო მწერალიც გაუფენდა ყველას ენას და თვისის სიტყვით შველას ყველას პირდებოდა, უნუგეშოთ არავის სტოვებდა. კაი ძალა ფულებიც შეაგროვა ამ ხრიკებით ვინაიდან ფულს კი ართმევდა და უშველიდა რამეს თუ არა, მერე მისი დარდი არ ჰქონდა. რაც დრო გადიოდა, მისი ჯიბე მით უფრო მატულობდა, სქელდებოდა. ყველაც მას შენატროდა, ნეტავი შენს პატრონსო. ამასობაში გრიშიკოც დაეჟკაცდა, დამშვენდა, და გამოეწყო ჩერქეზულ ტანისამოსში, კაი ცხენი, კაი უნაგირი, მათრახი!

გრიშიკოს ახლა ალარაფერი აკლდა, მას უნდოდა ერთი კაი მზითვიანი ქალი ეთხოვა. და ესეც მალე მოახერხა. იმ საზოგადოებაში ცხოვრებდა ჩვენი ცნობილი მემამულე ჭლენტია თვისის ქალიშვილებით და გრიშიკოც მათ დაუახლოვდა.

— გამარჯობა, რასა იქ და როგორა ხარ, ირინე ჩემო?—დიდის თავაზით ჩამოართვა ხელი და წინ აეტუზა ჩვენი გრიშიკო მწერალი ამ ირინეს, თვისის მეზობლის აზნაურიშვილის ქალი.

— მადლობთ, გახლავართ, ჯერეთ ცოცხალი, ღვთისა და თქვენის იმედით, ჩემო გრიშიკო,—მიუგო ირინემ.

— ახალი ამბავი, ხამბარი, არა იცი რა?

— მე რა მეცოდინება, ახალი ამბავი შენ გეცოდინება, მუდამ კანცელარიაში ხარ.

— ხო, რომ იცოდე რა გადავკარით მე და პრისტავმა ერთს შეძლებულს ოჯახში. უანწები და სირიოშები თუ? სულ თავზე კაიელეთ, შენი გამჩენის ჭირიმე; ახლა რა ქალები იყვნენ ჩვენ კომპანიაში, რძე და ღვინო იყო რაღა: მათ შეხედვას არა ჯობდა რა.

— ვაი შენს თვალებს, შე უბედურო, სულ ქალებში ამოგდის სული, მათ მეტი რომ არა გეფიქრება, ისინია შენი ხატი და ჯვარი.

— ვახ, ვახ, შავ-თვალა გოგუცანა ცუდია! შენც არ მომიკვდე, ბირი არ დევიწვა, თუ სადმე კლანკებში ვიგდე. შენ ჩემი ამბავი არ იცი? შენ ხომ მაგისთანეებში ბადალი არ გაკვს. მოდი საქმეში გაერიე, რაც იყოს და იყოს ერთს საქმეს შამოგაგდებ კისერზე და თუ შენ იმ საქმეს გამიკეთებ, მე და ჩემმა პატარა ულაშმა იცოდეს; დატრიალდი ერთი შენებურად და რანაირად გადაგიხდი მე ვიცი შენს პატივისცემას.

— რა საქმეა ქე მაინც მითხარი, ბეჩა, და თუ გავაკეთე რომ კარგი და თუ არა შენც მიხვდები, რადაზე დამემდურები.

— აბა, ირინე, ხომ იცი? ეს ისეთი საქმეა, რომ ჯერ ეშმაკმაც არ; უნდა გაგიგოს, ისე უნდა მოახერხო და მერმე მოხერხებაშიც დიდი ფანდები დაგჭირდება.

— მითხარი, რა საქმეა, ნულარ მომკალი.

— არა, ჯერ ეს მითხარი, მახერხებ თუ არა?

— გეფიცები, რაც კი გამაჩნია, შენი გულისთვის, რაც შემეძლება, თავს დავდებ და, სანამ არ გავაკეთებ, ჩიტსაც არ გავაგებინებ.

— აბა დღეიდან შეუდექი ამ საქმეს და ამ ხსნილში უსათუოდ გამართე, სამაშუალო იყოს ისი მანეთი, გესმის? ერთი კაი ფარჩის კაბა. ამასთან და დანარჩენი კიდე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

გრიშიკო მწერალს კიდევ ბევრი უნდოდა ეთქვა, მაგრამ ირინემ ალარ დააცალა და უპასუხა:

— შენ მე ისეთი საქმეს მთხოვ, რომ მისი შესრულება ნამეტანი ძნელია, ეს კიდ დედა მაის ვერ მივიკარები, ისეთი უბედურია, რომ თუ გეიგო ქვას ზეკით ააგდებს და ქვეშ თავს შეუშვერს; მე უნდა ვეცადო მხოლოდ რაღაც ნაირად იმ ქალიშვილს მოუქცეო მხარი, შენ კი, სანამდი მე არ გითხრა, იმას ხმას ნუ გასცემ და, თუ ხელში ვიგდე, მე თვითონ გაცნობებ, მაშინ—ლილისთვინ მზად უნდა იყო.

— მას დღეს აქეთ ირინეს მართლაც არც დღე სძინებია და არც ღამე, სადაც კი შეხვდებოდა ელენტიას მაშიკოს, ყველგან ეკურკურებოდა.

მამა ჩემის ცხონებასა და ჩემს ქმარ შვილიხ გახარებას ისეთი ბიჭი გიშინო საქმროდ, რომ იმაზე ყველას თვალი რჩებოდეს, ყველა ირეოდეს; კაი მაშის შვილი, კაი ოჯახი, თვალად—ტანად საუკეთესო, კაი საშსახური; ქონება შენც ბევრი გაქვს, იცხოვრეთ და იყავით ბედნიერად,—შეუჩდა ირინე ქალს.

დღეს, ხვალ, ზეგ, ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი და აკი მოხიბლა ამ ქალის გული. მაშიკომ დედას გაუმღვანა:

— მე აქნამდისინ ვიყურე, შენ ჩემი გამბედნიერება არ გინდოდა, მე კი პატრონი კაი ხანია მინდოდა და ახლა კიდევაც ეგირჩიე ჩემთვის საქმრო. თუ ნება მოგიცია ხომ კარგი, თუ არა და მე ჩემსას გეფიტან მაინც. მე უნდა გრიშიკო მწერალზე გავთხოვდე, მორჩა და გათავდა.

— უწინ დედა-მიწა გაგლეჯია და იმას ჩოუტანიხარ, სანამდი გრიშიკო მწერალს მე შენ არ გაგატანო. შე უნამუსო, რა ნახე იმ ერთ ციდა ბუჯუტა ბიჭში, კაცს მაინც გავდეს: მახინჯი, გარყვნილი, უსინდისო, იმან უნდა გაკობრიყვოს და გადაგიყოლიოს?!.. ეს ვისიც ოინებია, ვიცი კარგად, იმ დღე დასამოკლებელ ირინეს თუ სადმე შევხვდი, სულ თმებიდან გავცლი. იმან უნდა ჩამიგდოს ჯოჯოხეთში შენი თავი!?

— მე არ ვიცი, შენ რავარც გინდა, ისე სთქვი, მე იმ კაცს, გლახაა თუ კარგი, მივყვები ცოლად, ჩემთვის სასიამოვნოა და შენ რა გინდა, რას დეეძებ. აქამდი არ გამათხოვე, შენ ნებაზე იყო ყველაფერი, ახლა მე ვიცი და ჩემმა თავმა.

თითონ რომ ვერას გახდა ელენტია შვილთან, გადაეთქვევინებია გრიშიკოს ცოლად გაყოლა, მერე მიუჩინა ნათესავები, ნათესავებიც ბევრი ეცადენ რამე ნაირად მოეშორებინათ იმ მწერლისათვის, მაგრამ, ის მაინც მტკიცე უარზე იდგა და სიკვდილის გულისათვის არ უნდოდა გრიშიკოს დაშორებულიყო.

— ნეტარი, თუ მართლა გრიშიკო ციგანს მიყვები! რა გაგიჭირდა გიჟის ფასი, იმ დალეულს და კაცებში გამოსხლეტილს ცოლად არ მითხოვდე?—ეუბნებოდენ ნათესავები მაშიკოს.

— რითია დასაწუნი გრიშიკო მწერალი? მითი, რომ დაბალია? უი, ჩვენს ლორებს, აბა, რამდენი კაცია დაბალი, ყველას მათი პატრონი წყალში გადაყრიან, რაღა ეშველათ, ქალს კი არავინ მისცემს მათ. ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასია. გრიშიკოზე პატარა კაცი მინახავს მაგრამ ქე წაყოლია, არავის დაუწუნია. გრიშიკოს რა უშავს, კაცი სამსახურშია, ჯამაგირი და გამორჩენა მშვენიერი, ფულს, ამბობენ, ხაზინაშიაც ბევრი აქვსო, ამასთან კაი აზნაურიშვილი, ოჯახი, ადგილი და მამული, რანაირად უნდა დეივწუნო, მითხარით აბა ერთი თუ ღმერთი გწამსთ? ერთ დროს იყო, მაგაზე უკეთესი კაცები მეძლევოდენ, მაგრამ დედაჩემს რავა გოუმხელდი რამეს, იქანა ვინღა დადგებოდა მაშინ. ვინ გამიბედავს ჩემი სიმწრით გაზდილ შვილებს ასე უცებ გამაშუალებასო; გეიხედონ, გამეიხედონ, მეიჩიტონ ჯერ კარგათ, ავი ნახონ და კარგი, სიგძე და სიგანე, ჩემდენ სიმწარეს ისინი როდის გამოცდიან? ჯერ ადრეა. ასე იძახოდა ჩვენი პატრონი დედა და იმას კი ალარ უყურებდა, რომ ჩვენც ხორცში მყოფნი ვიყავ-თ. ის ყველაფერს თავის არშინით ზომავდა, ჩვენ კი რაღას გვკითხავდა. თუ კი ჩვენზე ნაკლების მზი თვიანები, ჩვენზე მახინჯები და უპატრონოები ბედს ეღირსენ, ჩვენ, რაღა ბედი დაგვეწვა, რომ აქამდი პატრონს ვერ ჩავბარდით. ახლა, როგორც იქნება, მე იმ კაცს გავყვები და სხვამ, დედა იქნება, თუ ნათესავი, როგორც სურდესთ, ისე მოეიქცენ. მე, ახლა, მადლობა ღმერთს, აპეკუნი როდილა მქირდება. კაი ოცდა თუთხმეტი წლის გახლავარ,—დაბეჯითებით ამბობდა მაშიკო.

— რაღამც აგრე გაქ ამოჭრილი გულში,—ეუბნებოდა დედა მაშიკოს,—პატარა ხანს კიდევ მოიცადე. ამ ხსნილში ქორწილი გადავდვათ; მეც კიდე, შენს ბიძაშვილს გაბრის ვკითხავ, კაცია რაც უნდა

CC-BY-NC-ND

ამის გამო გაზეთი „მატენი“ ამბობს: „შესაძლებელია ვენიზელოსის მოწინააღმდეგეებმა მეფეს ურჩინონ პარლამენტის დათხოვა. მაგრამ თუ მეფემ ასეთი არაკონსტიტუციონური ნაბიჯი გადადგა, მაშინ საბერძნეთის მეგობრები იძულებული შეიქნებიან გაახსენონ მეფეს ის განსაცდელი, რომელიც მას მოელის, თუ ოთხთა თანხმობის სახელმწიფოებს ზურგი შეაქციაო.

— —

„ტაიმსის“ ათინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პილატის დათხოვნა აუცილებელიაო.

— —

პარიზიდან სწერენ გაზეთ „რუს. ვედ.“: საბერძნეთის სამინისტროს კრიზისი აქ დიდ მითქმა-მოთქმას იწვევსო. ზოგნი ამბობენ შეიძლება პარლამენტი დათხოვონ და ვენიზელოსი ისევ სამაახურს დაუბრუნდესო.

— —

უარი რეიხსტაგის მოწვევაზე.

გერმანიის კანცლერმა რეიხსტაგის მოწვევაზე უარი განაცხადა და ამას იმით ასაბუთებს, რომ საჭიროებათა საქმის მოწესრიგებლად მთავრობას ჯერ კიდევ რამდენიმე კვირა სჭირიაო.

რიგა.

ამ უკანასკნელ დღეებში რიგიდან მცხოვრებლების გასვლა კვლავ გახშირდა.

ქუჩები სავსეა ავეჯეულობით დიტვირთული დროგებით მცხოვრებლები თავის ქონებას აგროვებენ საწყობებსა და ბინებში, ზოგიც თავის ნათესავებს უტოვებს, ვისაც კი განზრახვა აქვს დარჩენისა. წამსვლელ რიგელებთა შორის ბევრი მუშა და ნოქრებია.

ამ დღეებში ლატიშელთა საზოგადოებამ იდღესასწაულა ლატიშელ ლიტერატორის კრიშიან ბარონის ოთხმოცი წლის იუბილე. ყველა გაზეთმა დიდი თანაგრძნობითი წერილები უძღვნა იუბილიარს.

თუ რამდენი ზარალი ნახეს გერმანელებმა კუნძულ დალენთან უნაყოფო იერიშების დროს, ეს ნათლათ ჩანს იქიდან, რომ რიგის გარშემო სოფლების გლეხები ოთხი დღის განმავლობაში თხრიდნენ საფლავებს დახოცილ გერმანელთა დასასაფლავებლათ.

რადგანაც რიგელებმა თვითონ მიიღეს ზომები ვაკრების მიერ გადამალულ სურსათის აღმოსაჩენათ, ბაზარზე სანოვაგე თანდათან გაჩნდა, და ფასმაც დაიკლო.

ბ. ვ.

ქართული პრესა.

ბ-ნი ანი „თანამეროვე აზრში“ ეხება რა იმ გარემოებას რომ ჩვენმა დეპუტატებმა განსაკუთრებულათ არ ილაპარაკეს სათათბიროში საქართველოს შესახებ ცხრამეტ ივლისის ისტორიულ კრებაზე— ამბობს:

ფედერალისტთა შეცდომა, რასაკვირველია ჩვენ შეცდომებს ვერ დაფარავს წამოუენებული კითხვა შეჭვეულია დარსია ეერადგების და გულდასმით გარკვევის. შეუძლია ქართველ სდ. დეპუტატთ იუგენ წარმომადგენელნი როგორც თავის პარტიის, ისე ქართველი ერის? შეჭვეულია შეუძლიათ. ეს აუცილებელიც არის. თუ ჩვენ ვიცავთ ეველა დაჩაგრულთა ინტერესებს, თუ ქართველობა დაჩაგრულია არა მარტო როგორც რუსეთის მოქალაქე, არამედ აგრეთვე როგორც ქართველი—ცხადია მისი დაცვაც უნდა მოხდეს ორივე ნაირათ საერთო მოქალაქობრივათ და კერძო ნაციონალურათ. მარტო პირველი მომენტით დაკმაყოფილება სრულიად არ ხატავს არც მარქსისტულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას. ეს ორი მხარე ერთათ უნდა შეადუდდეს და ერთ მთელათ გახდეს. შეიძლება მათ შორის კონფლიქტი? რასაკვირველია. შეიძლება, თუმცა იშვიათად! მაგრამ ეს კონფლიქტი იქნება არა პროგრამული, არა პრინციპიალური, არამედ კერძო ხასიათის. მაგ. მესამე დუმაში ამურის რკინის გზის მომხრე იყო იქური ს.-დ. დეპუტატი, ხოლო დუმის მთელი ოპოზიცია ს.-დ. ფრაქციანა წინააღმდეგი. რკინის გზა ამურის მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანს, ხოლო საერთოთ რუსეთს დაუზარალებს. ერმანეთის ხედვა პროვინციის და სახელმწიფო ინტერესი. ფრაქციამ მაშინ ნება მისცა თავის ამურელ წევრს იმოქმედოს როგორც მას სურს და მანაც მხარი დაუჭირა პროექტს. ეს, როგორც ხედავთ, სრულიად კერძო შემთხვევა და ვერაფერით ვერ შეარეულ საერთო დებულებას: მარქსისტულ მოქმედებაში თავსდება როგორც დაჩაგრულ კლასის, ისე დაჩაგრული ერის გაშოსარჩლება. ეს ითქმის ეველა ერის ს. დ. დეპუტატებზე, რომელთაც თავ-თავის ერის მდგომარეობა უკეთ იციან და მათ საჭიროებას საერთო საჭიროებასთან ერთათ ტრიბუნაზე უკეთ გამოიტანენ.

ეოველივე შეცდომა ამ მხრით არის შეცდომა პირადი და არა პარტიული. და ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს მივბაძოთ ფედერალისტებს და კერძო პირის უნებლიეთი თუ ნებსითი ნაკლულევანება საერთო ნაკლულევანებათ დავსახოთ მთელის ინტერესი—აი ჩვენი დრეშა...

მთელი შესდგება ნაწილებისაგან...

და ამ ნაწილის შესახებ რომ ხმა არ ამოიღეს და ამას კი შეცდომათ სთვლიან,—ესეც დიდი ნაბიჯია წინ...

ახალი ამგავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა პ. მოსიძემ უკვე დაურიგა ომში გაწვეულ საოჯახო ჯარის კაცთა ოჯახებს დახმარება უნდა მიეცათ სულ 558 ოჯახისთვის. 100 ოჯახი ამ რიცხვში ჯერ არ გამოცხადებულა. დანარჩენს კი დაურიგდა თითოეულს ორორი მანეთი. ამ რიცხვში არ შედის იმ ჯარის კაცების ოჯახი, რომელთაც შენახული აქვთ სხვა და სხვა დაწესებულებიდან ჯამაგირი. ამათ რიცხვში შედის ის ჯარის კაცების ჰირისუფლები, რომელმაც საჩივარი აღძრეს გუბერნატორის წინაშე და რომელიც მოყვანილი იყო ჩვენს გუშინდელ გაზეთის ნუმერში.

✦ წითელ ბილეთიანების ჯარში გაწვევა. ორშაბათს, 2 ნოემბერს, ქუთაისის მაზრის ჯარის კაცთა გამწვევ სამხედრო სამმართველოში მოხდება შემოწმება იმ პირველი ხარისხის „წითელ ბილეთიანების“-ა რომლებიც გაწვეული იყვენ სამხედრო სამსახუთისათვის 1906, 1907 და 1098 წლებშიო.

✦ ორშაბათს, ორ ნოემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში რუსული გაზეთი „დენის“ თანამშრომელი ბ-ნი ვოდოვოზოვი წაიკითხავს ლექციას თანამედროვე ომის შესახებ. ბ-ნმა ვოდოვოზოვმა 29 ოქტომბერს დაათვალიერა გელათის მონასტერი.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქუთაისიდან ბევრმა ქალაქმა მოითხოვა ფქვილი. ამის შესახებ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ პოლიციმეისტერს შეატყობინა მოახდინოს განკარგულება, როგ ქუთაისიდან აღკრძალული იქნას ფქვილის გატანა, რადგანაც აქაც მალე გამოილევა.

✦ ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ უკვე გაუგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს 6 და 8 კლასის პროგრამები დასამტკიცებლათ.

✦ კვირას, 1 ნოემბერს, საფეხიის ეკლესიის გალავანში მოხდება კერძო კომისიის კრება, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს საშუალება, რომ რკინის გზათა სამმართველოში შეიტანონ 600 მან. ტყიბულის რკინის გზის შტოზე „პლატფორმის“ დასაარსებლათ.

✦ როგორც გადმოგვცემენ, სამხედრო ექიმათ ნამყოფი ფოვინისათვის თანამდეგობა ჩამოუხდიათ და უბრალო ჯარის კაცათ გაუგზავნიათ.

✦ 6 ნოემბერს ქუთაისის მიხეილის საბანაო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის შეერთებული სხდომა მოხდება. ამ სხდომაზე დაესწრება ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე თავადი ს. დ. წერეთელი და თბილისის განყოფილების დირექტორი გ. ლასხიშვილი.

✦ სოფ. გვიშტიბის მცხოვრებმა მიხეილ შვანკირაძის 12 წლ. ვაჟიშვილმა კალისტრატემ თავისივე ბაშლაყით თავი ჩამოიხრჩო. მიზეზათ ასახელებენ მამის დაუკითხავათ ხარების განათხოვრობასო.

✦ გოპოურის მცხოვრებნი უსინათლობით დიდ გაჭირვებას განიცდიან. საჭიროა ყურადღების მიქცევა, ვისგანაც ჯერ არს.

✦ **ბაქო.** ქალაქის ციხეში 7 მაჰმადიანი სიკვდილით დასჯეს, მათ ბრალდებულათ თავდასხმების მოწყობა და მკვლელობანი.

✦ უწმინდეს სინოდის საბამთრო სესიაში ხუთ მადლ სამღვდელო პირებთან ერთად მონაწილეობს საქართველოს ეპისკოპოსი ეფრემ ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა. დღეს. 31 ოქტომბერს, „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი სახალხო პიესა **ა. ცაგარელისა „ციმბარელი“** 4 მოქ. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ქ-ნი მ. მდივანი, შ. დადიანი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე და ა. ყალაბეგიშვილი.

✦ ხვალ, კვირას—სუმბათაშვილის „ლალატი“.

✦ როგორც გვქონდა მოხსენებული, ქუთაისის კომიტეტმა მიიღო დეპეში გენერალ ადიუტანტ ბრინც ალექსანდრე ოლდენბურგისაგან შემდეგი შინაარსისა:

ყველა კერძო და საზოგადო სამკურნალო დაწესებულებები მოვალენი არიან შეასრულონ ყველა კანონიერი მოთხოვნილება ადგილობრივი სამმართველოებისა

მივიღეთ ცნობა, რომ მრავალ ქალაქისა და სხვა კერძო ლაზარეთებიდან ნება დაურთველთ, დაჭრილი ჯარის კაცები მიდიან და ამაზე ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს. ქ. ყაზანშიაც კი აღმოჩნდა მრავალი თავის ნებით წასული დაჭრილი ჯარის კაცები, რომლებმაც დაიგვიანეს ერთ თვეზე მეტი. კეთილინებეთ და მიაქციეთ ამას ყურადღება ამ არა კეთილ სინდისიერ საქციელს და მიიღეთ ენერგიული ზომები ამის წინააღმდეგ და მასთანვე გააცვნეთ ჩემს ბრძანებას.

✦ 23 ოქტომბერს ქ. ფოთში ციციანოვის ქუჩაზე პავლე ბეკოს ძე ბანტურაიას სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლად გადაიწვა. ზარალი 1,000 მან. აღემატება.

✦ ს. სალხინოს (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე მომხმარებელ საზოგადოების ეკონომიის დაარსების შესახებ. ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს ს. არგვეთის (შორაპნის მაზრის) მცხოვრებლებმა.

✦ 28 ოქტომბერს თბილისის ქუჩაზე გაქურდეს პავლე მოსიძის სახლში მდგური ვასილ ევრეინოვ. წაუღიათ სამოვარი, ტანისამოსი და სხვა ოჯახის წვრილი ავეჯეულობა ღირებული სულ 33 მან. ქურდის ვინაობა გამოურკვეველია.

✦ გორის მაზრის უფროსი დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს ვინაიდან ქ. გორში ფქვილი გამოილია, გთხოვთ გვასესხოთ ორი ვაგონი ფქვილი, რისთვისაც განსაკუთრებულ კაცს ვაგზანითო.

დაკარგული ჯარის კაცები.

ქ. ბალაშოვში იყო ჯარის კაცი 135-ქვეითი პოლკის 1 წყების, მე-3-მე ზაოდისა, ეკაკი კოსტანტინეს ძე მეძმარიაშვილი.

ეს რამდენიმე ხანია მისმა მშობლებმა არა იციან რა და სთხოვენ ვისაც რაი მე ცნობა მოეპოვება ამ ჯარის კაცის შესახებ აცნობონ სადგურ კოპიტნარში ვარლამ მეძმარიაშვილს.

231 ქვეითა პოლკის მერვე როტაში მსახურებდა ჯარის კაცი პავლე (ეიჭინაძე) იაკობიძე. ომის დროს ავსტრიის საზღვარზე იყო და ეს მეხუთე თვეა მისმა მშობლებმა არა იცის რა მისი მშობლები სთხოვენ ყველას, ვისაც კი რაიმე ცნობა აქვს მის შესახებ აცნობონ ქ. ქუთაისში ფერმის ქუჩაზე მარიამ გელაშვილისას.

შიმშილობა.

დღემდის ჩვენ მხოლოდ ჩვენი უბედური სამშობლო გვეგონა დამშეული. დღეს ირკვევა, რომ წელს იმშევა მთელი კავკასია.

თბილისელ გაზეთი „კავკაზსკ. სლოვაში“ დაბეჭდილია რამდენიმე საჩქარო ტელეგრაფის ცნობა. ვანიდან აუწყებენ თბილისის ქალაქის გამგეობას, ქალაქში დიდი შიმშილობაა, ფქვილი აღარ მოგვეპოვება, საჩქაროდ მოგვაშველევო სამი ვაგონი ფქვილი, ფულს პირველ წამსვე გაახლებთ. ასეთივე ცნობა მოსვლია ქალაქის გამგეობას გუმბრიდან, ერევნიდან და გორიდან. გორიდან იწერებიან სანოვაგე არ მოეპოვებათ თვით სავადმყოფოებს, გვიშველეთ რამე; თვით ქ. თბილისში ხალხი საჭიროებისა და გვარად პურს ვერ შოულობს, მეფურნენი დღეში ერთხელაც ვერ აცხობენ პურს. თბილისიდან დაწყებული, ვიდრე ქუთაისამდე სადგურებზე პური არ იშოვება.

მეტად დამაფიქრებელი ამბებია, რომელიც კაის არას გვაქადის.

რამე უნდა ვიღონოთ დღესვე, თორემ დასვენების შემდგომ „ეს ამბები“ უფრო მკაცრსა და საზარელ ხასიათს მიიღებს.

ი. იმერელი.

პროგრამა თუ საქმიანობა.

ჩვენში ბევრს გულუბრყვილოთ სწამს, რომ საქმეთა „რაღაც“ ჩავიდინოთ და საქართველოს საკითხი, მორიგ, პოლიტიკურ საკითხად გადიქცევა, ჩვენზე ალაპარაკდებიან, ანგარიშს გაგვიწევენ და დაგვაკმაყოფილებენ კიდეც. მაგრამ რა არის ეს „რაღაც“, რომელიც უნდა ჩავიდინოთ, არავინ არ გვიხსნის. თუ ჩაუკვირდებით იმას, რაც აქამდის გაკეთებულა, რომ ქართულმა პოლიტიკურმა საკითხმა ყურადღება მიიპყროს, შეიძლება ბუნდოვანათ მიხვდეთ, რა არის ეს „რაღაც“. ასე, მაგალითად, დეპუტატმა გელოვანმა მთელი დეკლარაცია წაიკითხა სათათბიროში საქართველოს ავტონომიაზე. შემდეგ, რუსეთის საზოგადოებრივ აზრის საყურადღებოდ, ზოგიერთმა ქართველმა პუბლიცისტმა რუსულ ენაზე საშუალებით ახსნა დედა-აზრი და მიზანი ქართველის პოლიტიკისა. [illegible] ქართველოს საკითხი ვერ იქნა და ვერ ეღირსა „საკითხად“ ქცევას. მეტიც უნდა ვსთქვათ, ჩვენი პოლიტიკურის თავმოყვარეობისათვის საწყენიც კი იყო, რომ დეპუტატ გელოვანის სერიოზულ განცხადებას არც რუსეთის პარლამენტმა, არც რუსულმა პრესამ ყურადღება არ მიაქცია. ჩვენი პუბლიცისტების გამოსვლა რუსულ პრესაში, ხომ პირდაპირ სასაცილოდ დამთავრდა. რუსულ ჟურნალის „ნაციონალ პრობლემების“ რედაქციამ უცნაური პოლიტიკური მენუეტი მოაწყო ქართველ და სომეხ მოღვაწეებისაგან. ამ ჟურნალში ქართველი და სომეხი პუბლიცისტები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ და იმ დროს როცი ქართველი პუბლიცისტი სომხებს შოლტავდა, სომეხი ქართველებს უტყლაშუნებდა. ბოლოს საქმე იმითი დამთავრდაა რომ ქართველმა თავისავე თავს დაუწყო შოლტვა, ამის მსგავს მაგალითს წარმოადგენს უკანასკნელი გამოსვლა „ნაციონალ პრობლემებში“ ვიღაც ვეთოოდა ქართველ გორინისა, რომლის წერილი ქართველების წინააღმდეგ უფრო არის მიმართული, ვიდრე მათ ინტერესების დასაცავად. რა შთაბეჭდილება მოვახდინეთ ჩვენ ამ გამოსვლით და კითხულობს ვინმე რუსეთში საზოგადოთ ამ ჟურნალს, მე არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ვერც ამ გამოსვლით შევქმენით „საქართველოს საკითხი“.

რაშია საქმე? რატომ არ გვაქცევენ, მართლაც, ყურადღებას, ან საქართველოს საკითხი, პოლიტიკური საკითხი არ არის, თუ რა მიზეზია, რომ იგი საერთაშორისო საკითხად ვერ იქცა და ისევ შინაურობაში რჩება? ჩვენ რომ მარტო ერთმანეთის დავდარაბაში არ ვიყოთ გაბმული და დაკვირვების შნო და უნარი გვქონდეს, ეეშმარიტ დიაგნოზის დასმას ადვილად მოვახერხებდით. და მაშინ მივხვდებოდით, რა პირობებში შეიძლება საქართველოს საკითხი პოლიტიკურ საკითხად იქცეს და რა პირობებშ არა.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ პირობებში, რა პირობებშიაც დღეს საქართველო სცხოვრობს, იგი უბრალო გუბერნიის ცნებიდან ვერ გამოვა. ყველა ამბებს, რომელიც ჩვენში ხდება, რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ მუდამ პროვინციალურ ქრონიკის ბეჭედი აზის და არა ერთის კულტურულ ნაციონალურ ცხოვრებისა, დამოუკიდებელ ერის პრეტენზია მხოლოდ იმ ერს შეუძლიან ჰქონდეს და მხოლოდ ის მიიპყრობს ყურადღებას, მხოლოდ იმ ერის არსებობის საკითხი იქცევა პოლიტიკურ საკითხად, რომელ ერსაც სახლში, აზრის ერთობა აქვს შექმნილი ცხოვრების ყველა დარგში. მარტო „ეროვნულ მუშების“ დარაზმვა კი არ არის საჭირო, ან „ეროვნულ გლეხისა“, ეროვნულ ძალას უნდა წარმოადგენდეს მთელი პროლეტარიატი, მთელი გლეხობა, მთელი ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, პრესა, თეატრი, ლიტერატურა და ერთის სიტყვით მთელი სულიერი და უსულო ანტურაჟი იმ ცნობისა, რომელსაც ერი ჰქვიან. და ჩვენში განა ეს ასე არის? ჩვენში რომ სოციალდემოკრატიულ პარტიას მუშა გამოგვაქვევა და ნაციონალისტებში ჩაეწერება, ეროვნულ იდეალის ბრწყინვალე გამარჯვებაზე ვყვირით და ამ მუშას მერე „ყარამანიანს“ ვაკითხებთ, ვეუბნებით, რომ „ვისრამიანის“ ენა საუკეთესოა სტილის ხრივ და იმ ტიკინად ვხდით, რომელიც ალარავითარ იდეალისთვის არ არის შემდეგში გამოსადეგი. ამ დროს კი ხალხს სკოლები არა აქვს, ხალხს სავაჭრო დაწესებულებები არა აქვს და უცხო ტომის ჩარჩებს ვაყვლეფინებთ. მერე ვის შეეძლო ამის მოწყობა? ჩვენ, ნაციონალისტებს, რადგანაც ჩვენს ხელშია საქართველოს სიმდიდრე, მისი მიწა, მისი ბანკები, მთელი ძისი ნივთიერი ავტორიტეტი. რიგიანი დუქანი ვერ მოგვიწყვია, სადაც სასწორი სწორედ სწონადდეს პურსა და ხახვსა და იშისთანა უმსგავსო გაზეთი, როგორიც „ზვირთია“ ყოველდღე იზრდება და ხალხს ტრაბახობას აჩვევს, დამაცადეთ ზღვა უნდა დავწვაო! აი, დასაწყისი იმ სამწუხარო შედეგისა, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვსცურაობთ და რომლის გამო ჩვენ-

---

იყოს ის კაცი, ნათქვამია, კედელს შეეკითხებიან და რჩევას სთხოვენო, ნუ თუ ჩვენს ერთად ერთს დაახლოვებულს ნათესავს არ გაუმეღავნოთ ეს ამბავი. როდესაც გეიგებს რას იტყვის. აბა მე ადარაფერი ვყოფილვარო, ასე შვილო მოიცადე ცოტა ხანს, კაცს გავუგზავნი და გამოვიყვან.

— მე ვთქვი და გადავწყვიტე, ამას ალარაფერი ეხერხება. ჯვრის წერა დღეის წორს, კვირეს უნდა მოხდეს. შენ დეიმზადე, ის გირჩევნია, ქორწილი კი არ გინდა, მაგრამ ორი კაციც რომ იყოს, იმათაც გამასინძლება უნდა. სახორცე ბევრი გვყავს და ღვინო ჭურში ასხია. დოუბარე ერთს, ორს ბიჭს, ზოგს ბურაკი დააკვლევიე, ზოგს ბური გამოაცხობიე და შეუდექი საქორწილო სამზადისს.

დედას რაღა ჯანი ჰქონდა, უარი არ გაუდიოდა. საჭირო იყო თავის მოდგმა. რადამც იმ კაცს ალარ ეშვებოდა, ქორწილი, ასე იქნებოდა თუ ისე, უნდა გადაეხადა.

ასე მოიქცენ; შეემზადენ, მეზობლებს მიუძახ-მოუძახეს. გრიშიკო მწერალიც მოვიდა თვისის ამალით. წაიყვანეს ნეფეი დედოფალი ეკლესიაზე და მღვდელმა გვირგვნი უკურთხა. ახლა გრიშიკოს გული საგულეს ჰქონდა. ჩაიგდო ხელში ამდენი ავლადიდება, აწი ეიდა რაღას გაუბედავს! ცოტა კი არაფერი იქნებოდა მისი ცოლის სოფლობა. თითქმის ხუთასი თუმნის საფასური ევიდოდა მისი უძრავ-მოძრავი ქონება, ელეხტიას სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა. უნდოდა კბილით დაეგლიჯა შვილიც, სიძეც და მათი მაშუალიც, მაგრამ დონე არ შესწევდა. მეტი რამ ვერ მოახერხა, შევიდა სანთიობოში, გადიძრო თავს საფარი, მათი,—სიძე ქალიშვილის,—ლოგინის წინ მიიჩოქა, გაიწეწა თმა და მკვდრივით მოსთქვამდა შვილს-სწყევლიდა, ქუჩაზედ და ქვაზე ადუღებდა, რომ იტყვიან. მას დღეს აქვთ როგორც დედამ, ისე მისმა მონათესავეებმა მაშიკოზე გული ეიყარეს, არად მიაჩნდათ, რადგან ასეთს ლაწირაკს, უკაცურს და გარყვნილ-გათახსირებულ სოფლის მწერალს გადაყვა და გადაეკიდა.

გრიშიკო მწერალმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გამოიჩინა თავისი სიეერაგე. ცოლს თავი შეაყვარა. ოჯახში დიდი არეულ-დარეულობა მოხდა, მაგრამ გოგოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. „ვისაც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქასო“, ამბობდა თვის გულებაში გრიშიკო მწერალი. თუ ღმერთი მწყალობს, ხატი რას დამაკლებსო“, იმეორებდა ხშირად იგი. ჩემი საქმე კარგად მიდის. ჩემ ცოლს, ჩემზე უკეთესი არავინ ჰყავს. ეს კი ვიცი იმას ჩემზე ამოდის ზზე, მის დედასა და ნათესავებს თუ არ მივაჩნივარ, ფეხებზე მკიდია ყველა. ეს კარგად ვიცი, ჩემი ცოლის მამულს ვერვინ წამართმევს. ის ადგილები მაგ ორი დის სახელზეც „შემოკორწინილი“ და სხვას მე არას დევეძებ.

ერთი წლის თავზე ვეღარ შეეძინა ჩვენს გრიშიკოს. ახლა იმის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა. ჩემი შვილის არ იქნება დედამისის ქონებაო, ფიქრობდა იგი და გართული იყო. პატარა ეიჭიკო,—გრიშიკოს ვაჟის სახელია,—წამოიზარდა, ერთი წლის რომ შეიქნა მონათლა და ნათლიად ცოლის და, ელენკო აიყვანა. ამის შემდეგ მათ შორისაც გაიდო ხიდი.

. . . . . .

გრიშიკო ცოლის დას დაუახლოვდა.

კ. გძელი.

(შემდეგი იქნება).

ში პოლიტიკა ვერ იქმნება.

როდესაც ჟურნალი „კლდე“ პირველად გამოვიდა და მორცხვად განაცხადა პროგრამას მოქმედება გვირჩევნია, პირველი ფედერალისტები იყვნენ რომ სიცილი მოგვაყარეს და ჩვენი მოქმედება „წვრილმანების პოლიტიკათ“ მონათლეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, საქართველოში კვლავ ყოფილა სამართლიანობა, როგორც ერთმა ამბავი ბატონ ანს: ამ საერთო ატმოსფერაში მხოლოდ „კლდემ“ შეიტანა სხვა ჰანგი, წამოაყენა პატარა-პატარა პრაქტიკული კითხვები, შეეცადა პრაქტიკულ პოლიტიკის შემუშავებასა“. ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ ამ მართალ სიტყვას, და არა მარტო ამას, იმ ნაკლსაც, რომელზედაც გვითითებს ქართველ მშრომელი ხალხის ბელადი, მაგრამ ვიღებთ არა „ნათესავებისგან“, რომელსაც ზედ წაეგლისა „ზვირთი“, არამედ მოწინააღმდეგეებისგან, ჩვენ საკუთარ და ეშმარიტ მოწინააღმდეგეებისაგან.

ჩვენში სიცრუეს ბევრს ლაპარაკობენ და სიმართლის გაგონება კი არავის არ უყვარს. ნამდვილად კი, რამდენ კარგ გაკვეთილს აძლევს იგივე ბ. ანი მათ, ვინც წარა-მარა საქართველოს პოლიტიკურ საკითხზე წუწუნებს და კი არას აკეთებს. ბ-ონ ანის წერილი „ფედერალისტების ბანაკში“ პირდაპირი პასუხია, თუ რატომ არ გახდა ქართული საკითხი პოლიტიკურ საკითხად. იმიტომ, რომ ისინი ვინც დაინტერესებული არიან ავტონომიით, არაფერს არ აკეთებენ იმის გარდა, რომ ერთსა და იმავე მასალას ხან ვრცლად ბეჭდავენ „სახალხო ფურცელში“, ხან შემოკლებით „ზვირთში“. პოლიტიკა კი ამით არსად არ შექმნილა. **შ. ამირეჯიბი.**

„საქ.“

პროვინციის ცხოვრება.

ს. დიდი-ჯიხაიში. ჩვენს სოფელშიც წელს დიდი გაჭირვებაა, პირველ-საჭიროების საგნებ-სანოვაგეულობა წამდაწამ ძვირდება და მიუწვდომელი ხდება. ზამთრის მკაცრი ავადმყოფობანი თანდათან ფცხა იკიდებენ სოფელში, ერთი ექიმ—ფერშალი ხალხს ვერასდის. შიმშილობა წელს ჯიხაიშლებსაც კარს გვადგას.

——

სოფ. გუბი. დღეს საქართველოს ყველა სოფლიდან, ცხოლოდ ბიმშილობს გვუწყვ ენ. სოფ. გუბში ყანები წახდენილია, ხალხი უკვე მკაცრ შიმშილს წინაშე სდგას.

აქ ათასებულ აკაკის სახელობის სამკითხველოს საქმე ვერ არის ხეირიანად, სამკითხველოს მხოლოდ ერთი გაზეთი მისდის, აკლია აგრეთვე წიგნები.

——

ს. სვირი. ჩვენ წელს ღვინის მოსავალმაც გვიმტყუნა, ის მცხოვრები, რომელიც გასულ წლებში ღვინის შემოსავლით მრავალ გაჭირვებას ინსუბუქებდა, წელს საშიხაოდ სახმარ ღვინოსაც ვერ ეღირსა.

ასეთ უკიდურესობაში მყოფმა ხალხმა აუცილებლად უნდა შეიგნოს კოოპერატივის მნიშვნელობა-საჭიროება და ს ჩქაროდ დაიარსოს იგი, თორემ უმოქმედოთ გაჭირვებიდან გამოსვლა არ შეიძლება.

——

დ. ახალ სენაკი. 18 ამა ღვინობისთვეს სენაკ-ზუგდიდის გზაზე მიმავალ დილიჟანს რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი დახვდა, მგზავრებისთვის მასს ხუთი ათასი მანეთი ფულად წაურთმევიათ და აგრეთვე გაუტაცნიათ 8000 მან. ვექსილები.

——

სოფ. ზენი. ადგილობრივ მცხოვრების 15 წლის ქალს ყანაში მომუშავე მამისთვის სადილი მიქონდა გზაზე მას ყაჩაღნი დახვედრიან, სადილი წაურთმევიათ და შემდეგ საბრალო გოგოსთვის ძალზე უცემიათ.

საჭიროა ასეთს საზიზღარ ბ სამარცხვინო მოვლენათა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული, რათა ისედაც მრავალგვარად შევიწროებულ-შეწუხებულ ხალხს ეს მახინჯნი არსებანი კიდევ აღარ სტანჯავდენ.

სოფ. ბაა (სამეგრელო). წელს დასავლეთ საქართველოში მრავალნების მოვლენილმა წყალდიდობა—ნიაღვრებმა არც ჩვენი სოფელი დასტოვა დაუზარალებელი. სასიამოვნო სანახავად ამბინებული ყანები ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს, ხალხი დასტირის თავის ნაშრომ-ნაღვაწს. შიმშილობა კარს გვადგას.

აქ არსებობს ერთკლასიანი სასწავლებელი, რაიც საკვებით ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას, ყოველ წლივ სკოლას დიდძალი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ უმეტესი წილი უადგილოდ რჩება

——

სოფ. ოშიშკვითი (ქვემო იმერეთი). ჩვენი სოფელი დაშორებულია ქუთაისიდან 18 ვერსით, სადაც უმეტეს ნაწილად მცხოვრებლებს უხდებათ ხშირად მიმოსვლა ეტლებით და დილიჟნებით. კარგ ამიდში ძ �იერ კარგია მოგზაურობა და გასეირნება, მაგრამ გაავდრება თუ არა, გზაზე საშინელი ტალახი დადგება ტყაჩირ შუა და ოფუკვითის არე მარეზე. ასე რომ, ყოველად შეუძლებელია სიარული ფეხით და ვისაც ცხენი და ურემი ყავს მას არა უჭირს. გზის უვარგისობას შენი ჭირი წაუღია, რომ ჩვენი სოფელი სხვა მხრით, არ იყოს კულტურულად უკან დაქცეულ-ეთებული. სწავლა განათლებაზე ძლიერ მწყრალად არიან. აქ არის პატარა პირველ დაწყებითი სასოფლო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს პატარა ქალ-ვაჟი 200-მდე. მასწავლებლათ არის ქ-ნ თ. სანებლიძე. თუმცა ბევრი შრომა მიუძღვის მას სასწავლებლის ასაღორძინებლად, მაგრამ რას გააწყობს კაცი იქ, სადაც უმეტეს ნაწილად შეუგნებლობა აჭარბებს. და გზას ულოცავს კეთილ გზით მოსიარულეთ.

არის აქ საკრედიტო დამხმარებელი ბანკი და დიდს საშუალებას აძლევდა ხალხს, მაგრამ ის, რაღაც მიზეზებისა და გარემოების წყალობით, მოკიდებულ პატრუქვით ქრება ნელ ნელა და ძლივს კიაფობს. მისეზი, ის უნდა იყოს რომ ბანკის გამგე პირები, ვერ მართავდენ ბანკის საქმეს წესიერათ.

რაც შეეხება იმ ხმებს, რომ აქ უნდათ დააარსონ პირველდაწყებითი, სამოქალაქო სასწავლებელი, სრული ეშმარიტებაა, და ასეც უნდა მოხდეს, რათა ჩვენ სოფელს ძლიერ ესაჭიროება სწავლა განათლება, რომ ყოველივე სიბოროტე აღმოფხვრილ იქნას. X.

ხმა მასწავლებლისა.

ამ სათაურით იყო დასტამბული ამას წინათ გაზ. „თანამედროვე აზრის“ 176 ნუმერში წერილი ვინმე „ტი“-სა. როგორც სჩანს, წერილი უნდა მასწავლებელთაგანს ეკუთვნოდეს. წერილი თავის შინაარით საყურადღებოა საზოგადოთ და კერძოთ მასწავლებელთათვის.

მართლაც, წერილის ავტორი კარგათ ახასიათებს გურულ და ქვემო იმერეთის ერთი კუთხის მასწავლებელთა ღვაწლს, როდესაც მათ უწოდებს „ბარომეტრებს“ სახალხო მასწავლებელთა მოძრაობის საქმეში, ხოლო დანარჩენთ: ზემო იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის და აგრეთვე ალბათ სრულიად სამეგრელოის მასწავლებლებს მძინარეებათ ნათლავს. მიკვირს—რათ დასჭირდა და რათ მიაყენა ასეთი შეურაცხყოფა ხსენებულ კუთხეთა მასწავლებლებს პატივცემულმა ავტორმა მეთქი, როდესაც მათი გასამართლებელი სიტყვა ვერა ვიპოვე რა. ხსენებულ კუთხეთა მასწავლებლები ისევე ბრალდებულთა სკამზე დარჩენ (არა მარტო ესენი, თვით ბ. ავტორისაგან ნაქები რუსული მასწავლებლებიც კი, რომელნიც ბევრით არ განირჩევიან თავის კოლეგა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთ სამეგრელოს მასწავლებლებიდან). და რომ ეს მართლა ასეა, ამის დასამტკიცებელი საბუთები ძალიან ბევრია, მაგრამ აქ არ მოვიყვან.

გადავიდეთ ამ წერილის მთავარ აზრ-მიზანზე და ნათელ ვყოთ იგი. რაც შეეხება მიზანს ამ წერილისას, ვიტყვი მხოლოდ, რომ დიდი ხანია მინდოდა გურიის მასწავლებელთა კრების შესახებ გამომეთქვა ჩემი აზრი, მაგრამ საკმაო ცნობები ხელთ არ მქონდა და არც ჟურნალ-გაზეთებში შემხვედრია ამის შესახებ არაფერი, ვითომც ყოველივე საიდუმლოთ უნდა დარჩენილიყოს. ჩვენ მასწავლებელთა დიდი ნაკლულოვანება სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ არა გვსურს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი და შეხედულება ჩვენი საერთო საქმის, ამა თუ იმ მხარის შესახებ, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა სწავლა-აღზრდის უმჯობეს ნიადაგზე დამყარებას. მაგრამ ვინც ამბობს—სწერს რასმე—ჩვენ ყველა ვსდუმვართ, ჩუმად ვართ, რაც უნდა მიეწეროს იმავ დაუდევრობას და ძილს მოყვარეობას ბ. ტის თქმის თანახმათ. სრულიად ვეთანხმები დასახელებულ წერილში გამოთქმულ აზრს ხსენებულ სიეზდის კომისიის შესახებ, გამოვსთქვამ სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე მიექცეს ყურადღება ამოჩეულ კომისიის სხვა ყველა კუთხის მასწავლებელთაგან შევსებას და ქართულ ენის პროგრამის გამომუშავებას, რომ ყველას ერთი გეგმა გვქონდეს ქართული ენის სწავლების დროს.

სახ. მასწავლებელი.

ანგარიში.

(ქუთაურ ქალთა წრის შემოსავალ გასავალ სა 10 აგვ. 1915 წ.)

ბირველი ნოემბრიდან შემოვიდა:

საწვავრო გადასახადი—123 მ., შემოწირულობა სხვა და სხვა პირისაგან—142 მ. 26 კ., საღამოებიდან, სეირნობიდან, ალეგრიდან, კინემატოგრაფიდიურ სეანსებიდან—2498 მ. 44 კ., ღია ბარათების, წიგნების, ბროშურების გაყიდვისაგან, რომელიც ომისათვის იყო შეწირული (20 დეკემბერს და 3 მარტს) დასაშზადებელ ხარჯს გარდა—2376 მ. 92 კ., ხელის მოწერით 274 მ. 37 კ., ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისაგან—799 მ 9 შაური. სულ 621 მ. 44 კ.

შემოვიდა ნივთები და გაიგზავნა მოქმედ ჯარში.

სახალხო სკოლების მე-2-ე რაიონის ინსპექტორისაგან 53 წყვილი ჩულქი, 8 წყვილი ხელთათმანი, 12 ბაშლაყი, 2 წყვილი პაჭიები. უფასო სკოლისაგან 5 წყვილი სათბური, ბათუმის მარინის სასწავლებლისაგან 8 სათბური, 35 წყვ. სამაჯური და 8 საცვალი, მღვდელ სოპჩუკისაგან სამ კომპლეკტი საცვალი, კნიაგ. იაშვილისაგან 40 წყვ. ჩულქი და 7 ბაშლაყი, სოფ. ობჩის ქალთაგან და მასწავლებლებისაგან 7 თბილი პერანგი, 18 ხელთათმანი და 66 წყვ. თბილი ჩულქი. ხონის ქალთა საზოგადოებისაგან 3 ყუთი საცვალი გაიგზავნა ჯოროხის რაზმში, ჩვენებისამებრ.

გასავალი.

ქალთა წრის განკარგულებაში შემოსული საშუალებით ნაყიდი იყო სხვადასხვა მასალა საცვლების შესაკერათ, შეიკერა და გაიგზავნა მომქმედ ჯარში: პერანგი—2475 ც., პერანგის ამბანაგი 565 ც., ფეხსაცმელები—2130 წყვ., თბილი ჟილეტები—479 ც., თბილი ჩულქები—284 წყვ. მოქსოვილი პაჭიები—161 ც., თბილი სამაჯურები—450 ც., წაღები—70 წყვილი, თამბაქო—12 ფუთი, პარკები საჩუქრებით—470 ც. გაეგზავნა ქუთ. გუბერნატორის ხელით ტატიანას სახელობის კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლათ 200 მ. განაპირა ქვეყნის დაზარალებულ მცხოვრებ'თა სასარგებლოთ. არის შალეულობა თბილი ფეხსაცმელებისათვის 250 წყვილისათვის და თამბაქო ნახევარი ყუთი.

ქალთა წრის დამაარსებელი:
ო. ტრესკინა, მოდარე კ. ტრესკინი,
მდივანი მ. ივანოვი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ეურის, ცხვირისა და უფლის ექიმს ბ. მირაქოვს, რომელმაც ეურადღება მიაქცია ჩემს უმწეო მდგომარეობას, როგორც ბრძოლის ველზე დაჩაგრულს და უსასყიდლოთ უდიდესი საშუალება აღმომიჩინა ექიმობის მხრით. მე დიდათ უკეთესად ვგრძნობ თავს ბ. მირაქოვის ექიმობის დაწყების დღიდან, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი ბ. ექიმს.

ე. მეფარიშვილი.

რედ.-გამომ. კ. ი. თ ცინცაძე

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— ღამის	—11 ს.	30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს.	5 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს.	38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს.	--
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს.	14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს.	20 წ.

ექიმი ბ. მ. ბ. ბ. ბ